# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 ოქტომბერი 2005 №240 (2563) ფასი 50 თეთრი


# ბაიერნი — იუვენტუსი: 2:1 ბოლოში ჩაიხლართა



AFP ფოტო

# ზურაბ ხიზანიშვილს წითელი გაუმწვანეს




ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „ბლექბერნის“ საჩივარი განიხილა და ქართველ მცველ ზურაბ ხიზანიშვილს „ლივერპულთან“ მატჩში მიღებული წითელი ბარათი გააუქმა.

ასეთი რამ მხოლოდ ბრიტანეთში თუ ხდება: მსაჯის მიერ თითქოს ბოლო იმედის ჯარიმისთვის უსამართლოდ გაძევებულმა ფეხბურთელმა და მისმა კლუბმა უკან არ დაიხიეს და სიმართლეც გაარკვიეს. სწორედ ეს გვითხრა გუშინ ზურამ ინტერვიუში, რომელსაც მესამე გვერდზე გაეცნობით...

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური.

### A ჯგუფი

**ბაიერნი 2:1 იუვენტუსი**

1:0 დაისლერი (32), 2:0 დემიკელისი (39), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (90)
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (შვაინშტაიგერი 30), დაისლერი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, სანტა კრუზი (შოლი 88)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
იუვენტუსი: აბიატი, ბლაზი (კიელინი 46), კანავარო, ტურამი, ძამბროტა, კამორანეზი (დელ პიერო 46), ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (მუტუ 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ჯანიკედა, ტურამი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**რაპიდი 0:1 ბრიუგე**

0:1 ბალაბანი (75)
რაპიდი: ტეიერი, დობერი (ჰიდენი 54), ვალახოვიჩი, ბეიბლი (მარტინესი 73), ადამსკი, ჰოფმანი, კორსოში, ჰლინკა, ივანშიტცი, კინცლი, ლოურ (აკაგუენდესი 73)
მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი
ბრიუგე: ბუტინა, სპილარი, ვანაუდენაერდე, მარტენსი (ვერმეიენი 70), ბლონდელი, ვერმანტი, კლემენტი, ლეკო, დუფერი (როელანდტსი 90), პორტილიო (ენგლებერტი 70), ბალაბანი
მწვრთნელი: იან კულემანსი
გაფრთხილება: დობერი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| რაპიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### B ჯგუფი

**სპარტა 0:2 არსენალი**

0:1, 0:2 ანრი (21, 74)
სპარტა: ბლაჟეკი, პეტრუსი, პერგლი (მატუსოვიჩი 70), ლუკასი, კადლეცი, პოსპეში, ჟელენკა, პეტრასი, კისელი, პოლაჩეკი, სლეპიჩკა (დოსეკი 77)
მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა
არსენალი: ლემანი, ტური, ლორენი, სიგანი, კლიში, ფაბრეგასი (აბეიე 89), ფლამინი, ჟილბერტო, პირესი, ვან პერსი (ებუ 73), რეიესი (ანრი 15)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ლუკასი, ვან პერსი, კლიში
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**აიაქსი 2:0 თუნი**

1:0, 2:0 ანასტასიუ (36, 55)
აიაქსი: სტეკელენბურგი, ტრაბელსი, გრიგერა, მადურო, ემანუელსონი, დე იონგი, გალაშეკი, პიენაარი (ბუხარი 84), სნეიდერი, როსალესი (ჰეიტინგა 90), ანასტასიუ (ბაბელი 82)
მწვრთნელ: რონალდ კუმანი
თუნი: იაკუპოვიჩი, დეუმი, ორმანი, მილიჩევიჩი, გონსალეში, ლეანდრო, ადრიანო (სენი 74), აეგეტერი, ფერეირა, გელსონი (დურუზი 84), ლუსტრინელი (ომარ ფეი 84)
მწვრთნელი: ურს შიონბერგერი
მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| თუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი 0:0 ბარსელონა**

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ბისკანი, ვინტრა, მორისი, დარლასი, ნილსონი, კონსეისაო, გონსალესი (პაპადოპულოსი 76), სერიჩი (ვუტერი 88), მანციოსი, ტორგელე (ლენტიუ 59)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი (მოტა 56), ხავი (ინიესტა 76), დეკო, ლარსონი (მესი 67), ეტოო, რონალდინიო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: ტორგელე, ვან ბომელი, სერიჩი, ხავი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

**უდინეზე 1:1 ვერდერი**

0:1 ფელიპე (64 ს.კ), 1:1 დი ნატალე (86)
უდინეზე: დე სანქტისი, სენსინი, ბერტოტო, ფელიპე, დ. ძენონი (დი ნატალე 77), პინცი (მაური 77), ობოდო, მუნტარი, კანდელა, იაკინტა, დი მიკელე (ბარეტო 58)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ანდრეასონი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, მიკუ, ბოროვსკი, ვალდესი (პანტი 84), კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ვალდესი, პინცი, მიკუ, იაკინტა
მსაჯი: რენეტ ტემინკი (ჰოლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### D ჯგუფი

**მანჩესტერი 0:0 ლილი**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ფერდინანდი, ბრედსლი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, სქოულზი, სმიტი, რონალდო, ვან ნისტელროი, გიგზი (პარკი 83)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლილი: სილვა, ტავლარიდისი, ვიტაკიჩი, შმიტცი, ტაფურო, დებიუში (კეიტა 84), მაკუნი, ბოდმერი, შალმე, ოდენვეჟი (მუსილუ 74), აჩიმოვიჩი (დერნისი 60)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: სქოულზი, შმიტცი, ფერდინანდი, ვიტაკიჩი, ოში, სქოულზი, ტაფორუ
გაძევება: სქოულზი (63)
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

**ვილიარეალი 1:1 ბენფიკა**

1:0 რიკელმე (73პ), 1:1 ფერნანდესი (77)
ვილიარეალი: ვიერა, კრომკამპი, როდრიგესი, არსო, არუაბარენა (ხოსიკო 46), კაზორლა, ტაკინარდი (როხერი 84), სორინი, რიკელმე, ფორლანი, ხოსე მარი (ლუჩო ფიგუეროა 80)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ბენფიკა: კუიმი (ნერუ 29), ლუიზაო, ნელსონი, ანდერსონი, როკა, კარაგუნისი (კარიაკა 65), პეტიტი, ფერნანდესი, ჟოვანი (ბეტო 90), სიმაო, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: კო ადრიაანსე
მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |



რაპიდი — ბრიუგე. სტუმარმა ფილიპ კლემენტმა (მარცხნივ) პიტერ ჰლინკა ჰაერში აგდო

# რაიტი პრაღაში დაამხეს

**მიუნხენის** „ბაიერნმა" და ლონდონის „არსენალმა" ცხრა-ცხრა ქულა მოაგროვეს და ცალი ფეხით მერვედფინალში არიან. ფელიქს მაგათის გუნდმა სებასტიან დაისლერისა და მარტინ დემიკელისის გოლებით „იუვეს" უძლეველი სვლა შეუწყვიტა. „ბებერ ქალბატონს" ჩემპიონატსა თუ ლიგაში აქამდე არ წაეგო და კაპელომ სეზონში პირველი მარცხის გემო გაიგო. ტურინელებს არ ჰყავდათ პატრიკ ვიეირა, რამაც მათ თამაშს კვალი დაატყო, ხოლო შეცვლაზე შესული დელ პიეროსთვის ეს მატჩი ევროთასებზე მე-100 გამოდგა.

აშკარად არ გაუმართლა „იუვეს" მეკარე აბიატის, რომელმაც სამჯერ იხსნა სტუმრები, მაგრამ სებასტიან დაისლერის მახვლი კუთხიდან დარტყმულ ბურთს ვერაფერი მოუხერხა, რადგან ბურთმა ძამბროტას ფეხიდან გეზი ოდნავ იცვალა და აბიატის მუხლიდან კარში შევარდა. დემიკელისმა კი ნაკუთხურალზე იხეირა და კარის ხაზიდან ხუთიოდ მეტრში ჩასაფრებულმა თავით გაიტანა. დააზლოებით მსგავსი გოლით უპასუხა მასპინძლებს ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეხვედრის ბოლოს და თამაშიც აქ დამთავრდა.

ვენის „რაპიდი" დიდი ზარზეიმით შევარდა ლიგაში, მაგრამ ტყუილად — სამივე მატჩი წააგო და გოლიც არ გაუტანია. „ბრიუგემ" ბოშკო ბალაბანის გოლით დაამარცხა ავსტრიელები და მერვედფინალში გასვლის შანსი გააცოცხლა.

ტიერი ანრის დაბრუნებით გალაღებულმა „არსენალმა" „სპარტას" ახალ მწვრთნელ სტანისლავ გრიგას ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი ჩაუმწარა. ანრიმ თითო ტაიმში თითო შეაგდო და „მეთოფეთა" ლიდმეგოლის, იან რაიტის რეკორდი (185) დაამხო. ფრანგ ფორვარდს ახლა 186 არსენალური გოლი მოუგროვდა.

საინტერესოა, რომ ტიერი ანრი ძირითადში არ იყო. მინდორზე იგი მე-15 წუთზე გამოჩნდა, რადგანაც ხოსე ანტონიო რეიესმა ტრავმა მიიღო და ფეხბურთს მონატრებულმა ფრანგმა ფორვარდმაც...

ამსტერდამში „აიაქსმა" ანასტასიუს დუბლით სძლია „თუნს" და ოთხი ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ბრემენის „ვერდერმა" პირველი ქულა უდინეში ჩაიჯიბა და კვლავაც აქვს შანსი ჯგუფიდან გასვლისა, რადგან ათენში „პანათინაიკოსმა" „ბარსასთან" წაგება არ ინება.

უდინელმა ფელიპემ საკუთარ კარში თავით გაიტანა, შეცვლაზე შესულმა დი ნატალემ კი მასპინძლები მარცხისგან იხსნა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებს „ლილის" განადგურების მოლოდინში ხელები ამაოდ იფშვნიტეს. დაცვის ტრფიალმა ფრანგულმა გუნდმა რუნის გარეშე მოთამაშე „წითლების" შეტევებს გაუძლო და „ოლდ ტრეფორდზე" ფრე გახეთქა. მეორე ტაიმის შუაში პოლ სქოულზი გააძევეს, „ლილმა" კი კაცმეტობით ვერ იხეირა.

„ვილიარეალს" ალბათ ფრეების სენი შეეყარა და მესამე მატჩიც ზავით დაასრულა. მასპინძლები რიკელმემ პენალტით დააწინაურა, მაგრამ ფერნანდესმა ოთხ წუთში გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XIV ტური

ვულვზი 1:1 დერბი
უესდი 1:1 უოტფორდი
მილუოლი 0:4 შეფილდი
ჰალი 1:1 რედინგი
იფსვიჩი 2:2 ქოვენტრი
ლიდსი 2:1 საუთჰემპტონი
ლესტერი 0:1 ბარნსლი
ქპრ 1:1 პლიმუთი
კარდიფი 2:2 პრესტონი
ლუტონი 4:2 ნორვიჩი
სტოკი 2:0 ქრიუ
კრ. პალასი 0:1 ბრაიტონი

### ლიგის თასი. I ეტაპი

სკანთორპი 1:0 ჰარტლპული
ბარნსლი 2:5 დონკასტერი
უოკინგი 3:2 ნოტინგემი
ტორკი 1:3 სუონსი
სუინდონი 2:0 სტივენეიჯი
შრიუსბერი 0:2 ჩელტენემი
რაშდენი 1:0 საუთენდი
პიტერბრო 1:1 ბრისტოლი 2:1 დ.დ
ნორთჰემპტონი 5:2 ნოტსი
დონსი 3:2 ექსეტერი
ლეიტონი 2:0 იოვილი
ჯილინგემი 0:0 ქროული 2:0 დ.დ
ბრენტფორდი 1:1 ოქსფორდი 3:4 პენ.
ბორნმუთი 4:1 ალდერშოტი
უიკომბი 1:1 დაგენემი 2:1 დ.დ
ბარნეტი 3:2 ბრისტოლი
ტრანმერი 2:1 ლინკოლნი
როტერჰემი 2:2 აკრინგტონი 3:3 დ.დ, 3:2 პენ.
როჩდეილი 3:1 სტოკპორტი
ოლდემი 1:1 კარლაილი 5:6 პენ.
მენსფილდი 0:1 ჰერეფორდი
მაკლსფილდი 2:0 ჩესტერფილდი
კიდერმინსტერი 2:1 დარლინგტონი
ჰალიფაქსი 6:1 ბერი
გრიმსბი 1:1 მორიკომბი 3:4 პენ.
კემბრიჯი 3:0 ჩესტერი
ბლეკპული 2:2 რექსემი 4:3 დ.დ

## სლოვაკეთი

### თასის მეოთხედფინალი

ტრენჩინი 0:3 რუჟომბეროკი
შალა 2:2 ნიტრა

## იტალია

### სერია B X ტური

ტორინო 0:0 ბარი

## ირლანდია

### პრემიერლიგა გადადებული მატჩი

ჰარპსი 1:2 კორკი

## საფრანგეთი

### II დივიზიონი XII ტური

ისტრი 0:0 კაენი

## ხორვატია

### თასი. მერვედფინალი

რიეკა 3:1 მედიმურიე

## ავსტრია

### თასი I ეტაპი

აუსტრია (ლ) 2:0 ლეობენი
აუსტრია (მ) 1:0 ზალცბურგი

# ზურაბ ხიზანიშვილს წითელი გაუმწვანეს

## დანიაში სწორი იყო, ლივერპულში მოგონილი




ზურაბ ხიზანიშვილი ჯიბრილ სისესთან და პიტერ კრაუჩთან ორთაბრძოლაში

შაბათს „ლივერპულთან" გაძევებული „ბლექბერნის" ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გაამართლა და ჩვენიანიც მომდევნო, „ბირმინგემთან" მატჩისთვის იმზადება.

შეგახსენებთ, ზურაბ ხიზანიშვილი ლივერპულელთა ფრანგი ფორვარდის ჯიბრილ სისეს ნაქცევისთვის გააძევეს, მსაჯმა მაიკლ ჰელსმა ეს დარღვევა ბოლო იმედის ჯარიმად შეაფასა და ზურაც ამიტომ დაითხოვა მოედნიდან. ეს ამბავი პირველი ტაიმის შუაში მოხდა და „ბლექბერნსაც" მრისხანე მეტოქესთან თითქმის ერთ საათს კაცნაკლულს მოუნია თამაშმა. „ლივერპულმა" კი სანადელს მატჩის ბოლოსკენ მიაღწია და მინიმალური სხვაობით, 1:0 მოიგო...

— მსაჯი აშკარად შეცდა, გაძევებას არ ვიმსახურებდი. იმ ეპიზოდში ჯარიმაც არ ყოფილა, ვინაიდან სისეს საერთოდ არ შევხებივარ, ის გამოცდილი ფეხბურთელია და როცა ბურთისკენ წავედი, იდროვა და ეფექტურად წაიქცა. მსაჯი კი შორს იყო და სიტუაციაში ვერ გაერკვა, პირდაპირ წითელი ბარათი ამოიღო — გვითხრა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა.

**— ეგ გაძევება „ბლექბერნმა" გაასაჩივრა და პასუხი დღეს უნდა თქმულიყო...**

— ფეხბურთის ასოციაციის სხდომა რამდენიმე წუთის წინ დამთავრდა და, როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, ჩემთვის წითელი ბარათი გაუუქმებიათ. დანიაში სანკრებო მატჩისას რომ გამაძევეს, სიტყვა არ მითქვამს, მსაჯის გადაწყვეტილება სამართლიანი იყო და იმიტომ. „ლივერპულთან" კი, ჩემზე კარგად ვინ იცის, მეტოქეს საერთოდ არ გავკარებივარ და წითელიც დაუმსახურებლად მივიღე. მოკლედ, ასოციაციამ გამამართლა და მომავალ ტურშიც ვითამაშებ.

**— როგორ ფიქრობ, მსაჯს რომ არ გაეძევებინე, ლივერპულში „ბლექბერნი" ქულას მაინც გამორჩებოდა?**

— ყოველ შემთხვევაში, ჩემ გაძევებამდე თანაბარი თამაში იყო, „ლივერპულს" არაფრით ჩამორჩებოდით. მერე კი თითქმის ერთი საათი გუნდი კაცნაკლული დარჩა და, რა თქმა უნდა, ასეთ მეტოქესთან გაგვიჭირდა. ის ერთი გოლიც სისემ ბოლოსკენ გაგვიტანა. მოკლედ, ვერ ვიტყვი, რომ ლივერპულში წასაგები თამაში გვქონდა, მაგრამ მსაჯის შეცდომის გამო ასე მოხდა.

**— უკვე ერთი თვეა, ინგლისში თამაშობ. კარგად მოერგე პრემიერლიგას და „ბლექბერნს"?**

— ინგლისური და შოტლანდიური ლიგები რამ გაყო, ერთნაირი ფეხბურთის თამაშობენ და შეგუებაც არ გამჭირვებია. „ბლექბერნში" კი ჩამოსვლის დღიდან თამაში არ გამომიტოვებია, ძირითად შემადგენლობაში ვარ და აქედანაც ჩანს, რომ მწვრთნელი კმაყოფილია და მენდობა.

**— „ბლექბერნის" მიზანი წლეულს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა?**

— არა, გავარდნაზე არც ვფიქრობთ. „ბლექბერნი" ბევრ გუნდზე მაღალი დონისაა და თვალი ათეულზე გვიჭირავს. თუ გაგვიმართლა, იქნებ ევროსაგზურსაც წავეპოტინოთ.

**— ნაკრებზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა.**

— რა ვთქვათ, შესარჩევი ციკლი ჩვენ დამთავრდა...

**— სამომავლოდ რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— უიმედოდ მტერი იყოს. ვფიქრობ, ბოლო მატჩში საბერძნეთთან ცუდად არ გვი თამაშია, წავაგეთ, მაგრამ სახელოვანი მეტოქისთვის ერთი-ორი გოლის გატანაც შევძელი და ქულის მოპოვებაც იყო. ... დეგზე მთავარი ისაა, რომ სტადიონზე ... ოფით დავანახეთ — თამაში ... ლია. ეროვნულ გუნდში ოთხი-ხუთი ... კი ფეხბურთელი გამოჩნდა, მომავალ შესარჩევ ციკლამდე კი ისინიც მოუმაგრდებიან და ალბათ წლევანდელზე უკეთესი შედეგი გვექნება.

**ქობა ინასარიძე**

# პირველი გამოცდა წითელ ეშმაკებთან

## დღეს 17-წლამდელები იწყებენ



ლევან მელიქია

**დღეს** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბელგიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპს იწყებს. ლევან მელიქიას ბიჭები თბილისის დროით 21 საათზე მასპინძელთა ნაკრებს ხვდებიან და დღესვე ჯგუფში მეორე მატჩიცაა: ბულგარეთი — ავსტრია.

ბელგია — საქართველო ქალაქ დაინცეში, „ბურგემესტერ ვან დე ვიელსტადის" 28 000-იან სტადიონზე შედგება და მას ჩრდილოირლანდიელი და ებრაელი მსაჯები გაუძღვებიან — არბიტრი ნიკ მაკორტი იქნება.

ქართველი იუნიორები 13 ოქტომბერს გაფრინდნენ ბელგიაში, ასე რომ, წესით და რიგით, სრულად მომზადებულები უნდა შეხვდნენ ამ მატჩებს. შეგახსენებთ, საქართველო-ბელგია-ბულგარეთ-ავსტრიის ოთხეულიდან მეორე ეტაპზე ორი საუკეთესო გადის.

ლევან მელიქიას თვრამეტი შეგირდიდან „ზესტაფონი 2"-ის მოთამაშეები სჭარბობენ, ამ გუნდს კი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში რვა თამაშიდან რვა წაგება აქვს. თუმც ამ მომენტისთვის 1989 წელს დაბადებულთა საუკეთესო ბირთვი შეირჩა, ამბობს მელიქია.

ბელგიელმა 17-წლამდელებმა კი წლეულს ექვსი ტესტ-მატჩი გამართეს. ისინი „ანდერლეხტის", „ბრიუგეს", „სტანდარდისა" და „გენკის" სარეზერვო გუნდებში თამაშობენ, მეკარე ტობი ალდერვეირელი და მცველი სიგერდ დეგელინი კი, შესაბამისად, ამსტერდამის „აიაქსში" და როტერდამის „ფეიენოორდში" ირიცხებიან.

**ილია ნანობაშვილი**




# შოთა არველაძე: ჩემი მე მკითხონ

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ ამასწინათ ალკმაარელ შოთა არველაძეზე თქვა, ნაკრებში ჩამოსვლა რომ იუარა, არასწორიაო. ამასთან დაკავშირებით კომენტარი თავად არველაძეს ვთხოვეთ...

— კალაძეს ჯერ ჩემთვის დაერეკა და ეკითხა, თუ რატომ არ ჩამოვდივარ ნაკრებში, მანამდე კი ნაკრების მწვრთნელისთვისაც ეკითხა, თუ რატომ არ მიწვევდა, თორემ ასე ზეპირად ლაპარაკი სწორი არ არის. რაც შეეხება სამშობლოს სიყვარულს, ჩემი ცხოვრებიდან ჩანს, რომ უკან დამხევი არ ვყოფილვარ. ისე, მეც ბევრი რამე არ მომწონს, მაგრამ ამაზე პრესაში და ტელევიზიაში არ ვლაპარაკობ — გვითხრა არველაძემ.

საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
5 ტური
გადადებული მატჩი

ზესტაფონი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი





# გადანახული ინტრიგის კონვერტი დღეს გაიხსნება

*დღეს მეხუთე ტურის გადადებული მატჩია: „ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯია“. როგორია? ორი ამბიციური და ქართული საზომებით წელგამართული გუნდი ერთმანეთის ნინააღმდეგ...*

*„ზესტაფონი“ ახალი მწვრთნელის, კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით მეორე მატჩს ატარებს — პირველი ზესტაფონელებმა ფრედ (1:1) ითამაშეს ქუთაისის „ტორპედოსთან“, ახლა კი მოსაგებად იწევენ და საამისოდ მრავალრიცხოვანი ქომაგის იმედიც აქვთ.*

*სადღეისოდ ძალიან საინტერესო თემაა „ვიტ ჯორჯიაც“. მოფერიანებული და მოგებებს დაჩვეული ვიტელები იმერთქალაქს იმედით ესტუმრნენ და ვნახოთ, ვისი აჯობებს...*

*გუშინ ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელებს ვესაუბრეთ...*

***კობა ჟორჟიკაშვილი:*** ძლიერი მეტოქე გვყავს და ამით ახალს არაფერს გეუბნებით. ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაში ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

**— მეტოქეს როგორ დაახასიათებთ?**

— შეკრული გუნდია და თან ბოლო ხანს ძალიან მოუმატა, რამდენიმე თამაში ზედიზედ მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ საბრძოლო განწყობაზეა.

**— „ვიტ ჯორჯიადან“ რომელიმე ფეხბურთელს ხომ არ უფრთხით?**

— მთლიანად გუნდია სახიფათო. ფეხბურთელებს ვერ გამოვარჩევ, რადგან „ვიტ ჯორჯიას“ ყველა რგოლში ჰყავს კარგი მოთამაშე.

**— „ზესტაფონიდან“ რამდენიმე ფეხბურთელის წასვლაზე იყო ლაპარაკი და რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ვინ უნდა წავიდეს?

**— თუნდაც ზურაბ იონანიძე, ვისაც სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა...**

— ვერაფერს გეტყვით. ამჟამად ყველა გუნდშია და თამაშისთვის ემზადება.

**— ამ მატჩში ტრავმების გამო ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ?**

— მხოლოდ გიორგი ხიდეშელი.

**— ერთიც: 19-წლამდელთა ნაკრები, 21-წლამდელთა ნაკრები, „ზესტაფონი“... ამდენი გუნდის გაწვრთნას იოლად შეეგუეთ?**

— ამ წრეს ჩავამთავრებთ და მერე ვნახავ, რა შემიძლია და რა არა. თუ შევძლებ, მუშაობას გავაგრძელებ, თუ არა და რამეს მოვიფიქრებთ.

**ბაჩა შალამბერიძე**

***ნესტორ მუმლაძე.*** „ზესტაფონთან“ მატჩში ორი დისკვალიფიცირებული დაგვაკლდება — პავლე და გიორგი დათუნაიშვილები. მათი არყოფნა ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია.

**— „ზესტაფონთან“ სტუმრად თამაშობთ და დაცვით ტაქტიკას აირჩევთ?**

— საერთოდ, „ვიტ ჯორჯია“ დაცვით ფეხბურთს არ თამაშობს. კონკრეტულად ამ შეხვედრისთვის რა ტაქტიკას ავირჩევთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია, თუმც შესაძლოა, დაცვითი ტაქტიკითაც ვითამაშოთ.

**— მეტოქეზე რას იტყოდით?**

— „ზესტაფონი“ ნორმალური გუნდია და სერიოზული ბრძოლა გველის. ზესტაფონში გასასეირნებლად არ მივდივართ, სამი ქულა უნდა ავიღოთ.

**— თქვენი გუნდის მთავარ კოზირად პრესინგს მიიჩნევთ?**

— პრესინგი ერთ-ერთი კომპონენტია, ამის გარდა შეტევაც უნდა იყოს.

**— „ვიტ ჯორჯიაში“ რამდენიმე ფეხბურთელია, რომელთაც ახალგაზრდული ნაკრებისა და „ზესტაფონის“ ახლანდელი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში არა და არ იწვევდა — ეს შეუპოვრობას შემატებს ამ ვიტჯორჯიელებს?**

— ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი მართლაც იმსახურებს ახალგაზრდულში თამაშს, მაგრამ მე „ზესტაფონთან“ მატჩში ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**— თქვენი გუნდი ახლა კარგ ფორმაშია, მაგრამ გაგწვდებათ რესურსი სეზონის ბოლომდე?**

— უცხოური შეკრება და სერიოზული ტესტ-მატჩები არ გვქონია და იდეალურად ვერ მოვემზადეთ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ძალები სეზონის ბოლომდე არ შეგვრჩეს.

**დავით თავართქილაძე**

# ზირაქიშვილს თავი მოუხდა



**„ბათუმის“** 30 წლის ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი 25 სექტემბერს თბილისის „ამერთან“ მატჩში ისე დაშავდა, რომ თამაშის მიტოვება მოუხდა — ზირაქიშვილს ტვინის შერყევა დაუდგინეს.

ორკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ზირაქიშვილმა ვარჯიში განაახლა.

„ახლა სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და მალე ჩვეულ ფორმასაც დავიბრუნებ. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალ ტურში „კახეთთან“ აუცილებლად ვითამაშებ, ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია“ — გვითხრა 2000-2001 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჯაბა მუჯირი — ყველაზე სამართლიანი ქართველი ირანში

**ირანის** ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ქართული დერბი გაიმართა — ჯაბა მუჯირის „სეპაჰანმა“ შინ აქვსენტი გილაურის „ესტეგლალი“ 1:0 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის ირანში მხოლოდ ეს ორი ქართველი თამაშობს. „სეპაჰანი“ ახლა მეოთხე ადგილზეა, ხოლო „ესტეგლალი“ მეექვსეზე.

ირანის საფეხბურთო ლიგამ კი შვიდი ტურის შემდეგ მუჯირის „სეპაჰანს“ FAIR PLAY-ის პრიზი გადასცა — სეპაჰანელებმა ყველაზე ნაკლები ყვითელ-წითელი ბარათები დააგროვეს და იმიტომ.

**ლუკა თალაკვაძე**

## თვალ-თვალი



*დინამოელთა მეკარე სოსო გრიშიკაშვილის ხელთათმანები ყურთასმენად ნაღდად არ გამოადგება არბიტრ ლევან ფანიაშვილს. არც ფანიაშვილის შიშველი ხელები გამოდგება რამედ გრიშიკაშვილისთვის და მაინც, ამ ფოტოს ქართული FAIR PLAY დავარქვათ. ყველაფერი ეს ამსწინდელ „დინამო“ — „სიონის“ მატჩისას მოხდა.*





სიონელები და მათი დირექტორი გია აბაზაძე უკრაინულ ხეირს ელიან

# უკრაინელები სიონში?

## გადამწყვეტია 25: მადნეული თუ შემოგვეშველა...

*ბოლნისის „სიონი“ მეცხრე ტურამდე ლიდერობდა საქართველოს ჩემპიონატს და, კაცმა რომ თქვას, არც თბილისის „დინამოსთან“ წაგებით განელდა ამბიციები. „სიონში“ ახლა ნორმალური ფინანსური მდგომარეობაა, თუმცა შეიძლებოდა, გაცილებით უკეთესიც ყოფილიყო და ეგებ ასეც მოხდეს. კლუბს ნომინალურად ორი დამფინანსებელი ჰყავს ბოლნისის რაიონის გამგეობისა და სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ სახით, თუმც ისე გამოდის, რომ მთელი სიმძიმე სწორედ გამგეობაზე გადადის.*

*25 ოქტომბრიდან „სიონში“ სასიკეთო ძვრებია მოსალოდნელი. ყველაფერი ეს კი კლუბის დირექტორ გია აბაზაძისგან შევიტყვეთ...*

— „მადნეულის“ გაყიდვაზე ტენდერია გამოცხადებული, 24-მდე ყველა მსურველს შეუძლია დარეგისტრირება, შემდეგ კი მყიდველის ვინაობა გაცხადდება. ისე ხდება, რომ „მადნეული“ დღესდღეობით ერთი თეთრითაც ვერ გვეხმარება. ეს მათი ბრალი არ არის — სახელმწიფო ინსტანციებიდან გაცემულია ბრძანება, „მადნეულმა“ დივიდენდები არ გასცესო. რა გამოდის, „მადნეულმა“ ჩვენ რომ დაგვაფინანსოს, ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს? არადა, გამგეობასთან ერთად ისინი „სიონის“ მფლობელები არიან. სხვა საქმეა, რომ სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ „მადნეულისგან“ რომ ზურგი გვქონდეს, „სიონის“ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

**— „მადნეულს“ „სიონის“ ვალები ჰქონია...**

— მარტო ამ სეზონში 245 ათასი ლარი დაუგროვდა, გასულში კიდევ 115 ათასი, ანუ მთლიანად 360 ათასზეა ლაპარაკი. მადლობა ღმერთს, გამგებელი გია არევაძე ჩვენზე გადაყოლილია და არაფერს გვიჭირვებს. ახალ წლამდე ნორმალურად იქნება ჩვენი მდგომარეობა, მერე კი ვნახოთ...

**— „მადნეულის“ შესაძლო მყიდველებზე რას იტყვით?**

— ყველაზე სასურველი მყიდველები უკრაინელები ჩანან. კომპანიის სახელს ვერ გეტყვით, მაგრამ ისინი უკრაინის ორ კლუბს სპონსორობენ — ერთ უმაღლესლიგელს და ერთსაც პირველლიგელს. თუ ისინი მოვიდნენ, ოთხი-ხუთი ფეხბურთელის დამატებას შევძლებთ, თორემ ასე მთლად კარგ დღეში ვერ ვართ. გუნდში 27 ფეხბურთელია, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველა მატჩში უცვლელი ძირითადი შემადგენლობა გამოგვყავს. ამიტომ სრულფასოვანი შემცვლელები გვჭირდება, თორემ თერთმეტი კაცი სეზონის ბოლომდე ვერ გაუძლებს.

**— უკრაინელები რა თანხის ჩადებას აპირებენ კლუბში? როგორც ამბობენ, წლიურ 2 მილიონ ლარზეა ლაპარაკი...**

— ასე კონკრეტულად ჯერ არაფერი თქმულა. უკრაინელებმა მხოლოდ ის გვითხრეს, რაც აქამდე იყო „მადნეულისგან“ დაფინანსება, ორმაგს და, თუ საჭიროა, სამმაგს ჩავდებთო. აქამდე ჯერ 900 ათასი ლარი იყო, მერე კი 600 ათასამდე შემცირდა და ისიც ქაღალდზე, თორემ, როგორც გითხარით, „მადნეულისგან“ არაფერი მიგვიღია. ესე იგი, უკრაინელებმა ორჯერ მეტი თანხაც რომ დააბანდონ, 1 200 000 ლარი გამოვა. ისე, შიში გვაქვს, „მადნეულის“ გაყიდვაზე ტენდერი საერთოდ არ ჩაიშალოს.

**— ასეთ შემთხვევაში რა იქნება საშველი?**

— ძალიან გაგვიჭირდება. ახალ წლამდე ნორმალური სიტუაცია იქნება, მაგრამ შემდეგ...

**— „სიონის“ ფეხბურთელთა უმეტესობას ზამთრამდე აქვს კლუბთან კონტრაქტი. მათი გუნდში დარჩენა-არდარჩენის ამბავიც ტენდერის შემდეგ გადაწყდება?**

— ჯერჯერობით კლუბში ხელფას-პრემიების გაცემა არ გვაძნელდება. ზოგ ფეხბურთელს უკვე ორწლიანი, ზოგსაც ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, მაგრამ ჩვენ თუ უფრო მყარი ფინანსური ზურგი გვექნება, ცხადია, ხანგრძლივ კონტრაქტსაც გავუფორმებთ მათ. თუ არადა, ძალით ვერავის დავტოვებ „სიონში“, მოთამაშეებს ოჯახები ჰყავთ შესანახი. გუნდი აწყობილია და ექვსი თვის შემდეგ რომ ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ, მერე კიდევ ახლები და ასე წამდაუწუმ ვცვალოთ შემადგენლობა, ცხადია, არაა სასურველი.

**— „მადნეული“ თუ შემოგეშველებათ, ანუ უკრაინელები თუ მოვლენ მფლობელებად, რა მიზნები ექნება „სიონს“?**

— ეჭვიც არ მეპარება, წლების მერე საქართველოში ერთ-ერთი უსერიოზულესი კლუბი გვექნება. სადაც სტაბილურობაა, იქ შედეგიც მოვა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ლოკომოტივის გრამატიკა: პრაგმატიკა

*თბილისის „ლოკომოტივი“ რომ სადღეისოდ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, ბევრს ეგებ უკვირს კიდეც, თუმც ვისაც წლეულს ნოდარ აკობიას გუნდის თამაში ერთხელ მაინც უნახავს, უთუოდ დარწმუნდებოდა — ვაკელები პრაგმატულად უდგებიან საქმეს.*

*შედეგიც ცხრილშია: ორი სასტარტო ფრის შემდეგ აკობიას „ლოკომოტივმა“ ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო, თანაც ოდენ ერთი ბურთი გაუშვა.*

*რაშია „ლოკომოტივის“ წარმატების საიდუმლო? სტაბილურობაშიო, გვპასუხობს ნოდარ აკობია...*



— წინა ჩემპიონატის ბოლოს „თბილისთან“ რომ დავმარცხდით, იქიდან მოყოლებული, თამაში არ წაგვიგია, თუ, რა თქმა უნდა, სომხურ „ბანანცთან“ მატჩს არ ჩავთვლით. გუნდი სტაბილურად თამაშობს, პირობებიც ნორმალური გვაქვს და ყველაზე მთავარი, კონტინგენტი — ვინც დღეს გუნდში მყავს, ყველა მონდომებულია. ისინი სულით სპორტსმენები არიან, პროფესიონალები და არც ამბიცია აკლიათ.

**— ვინმეს თუ გამოარჩევთ?**

— ვერავის გამოვარჩევ, ყველასი მადლობელი ვარ. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ინომოვი, ქებაძე, კახელიშვილი, მახვილაძე, ონიანები, სირაძე, საჯაია, სირბილაძე... მათ რომ ვუყურებ, უკვე ვიცი, რა უნდათ, რისი მიღწევა შეუძლიათ.

**— თქვენი გუნდი ლიდერია და ალბათ არც ჩემპიონობაზე იტყვით უარს...**

— ვფიქრობ, „ლოკომოტივს“ შესწევს ძალა, ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

**— კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— სხვებისგან განსხვავებით გეტყვით, რომ ძალიან ბევრს.

**— კონკრეტულად?**

— ვფიქრობ, ახლა ერთბაშად შვიდი-რვა გუნდია თანაბარი ძალის: „სიონი“, „ბორჯომი“, „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „ამერი“, „ზესტაფონი“... როგორ შეიძლება, ეს გუნდები არ ჩავთვალო კონკურენტებად.

**— გუნდში ტრავმირებულები ხომ არ გყავთ?**

— საბედნიეროდ, უკვე აღარავინ. სირბილაძე იყო დაშავებული და ახლახან გამოჯანმრთელდა.

**— ზამთარში „ლოკომოტივს“ დავით სირაძე დატოვებს. მის შემცვლელს აქედანვე ხომ არ ეძებთ?**

— მოსვლით არავინ მოვა. ვთვლი, რომ გუნდში საკმარისად მყავს ფეხბურთელები, სირაძე რომ შეცვალონ. იგი არც შარშან გვყავდა, მაგრამ ისედაც გავდიოდით ფონს. ამით მე დათოს შესაძლებლობებს არანაირად არ ვაკნინებ. უბრალოდ, მინდა, იცოდეთ, რომ „ლოკომოტივში“ მისი შემცვლელები დღესაც არიან.

**გიორგი გაზაძიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური. დღეს

## E ჯგუფი

### მილანი — პსვ

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: კონრად პლაუცი (ავტრია)

| მილანი | პსვ |
|---|---|
| დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო | გომესი, ოიერი, რაიციგერი, ლემეი, ალექსი, ფერეირა, სიმონსი, კოკუ, აფელაი, ბისლი, ფარფანი |

### ფენერბაჰჩე — შალკე

სტამბოლი. „შუკრუ სარაკოღლუ“. მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

| ფენერბაჰჩე | შალკე |
|---|---|
| დემირელი, ვალჩი, ტურაჩი, ოზატი, ლუსიანო, მ. აურელიო, აპია, საჰინი, ნობრე, ალექსი, ანელკა | როსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, რაფინია, როდრიგესი, კობიაშვილი, პაულსენი, ერნსტი, ლინკოლნი, კურანი, ლარსენი |

# ზღაპრის გაგრძელება

**ეინდჰოვენში** „მილანთან“ შარშანდელი მარცხის სიმწარე ჯერაც არ დავიწყებიათ. პსვ რევანშისთვისაა განწყობილი.

2004-05 წლების ლიგის ნახევარფინალში „როსონერიმ“ სან სიროზე შევჩენკოსა და ტომასონის გოლების წყალობით, 2:0 დაამარცხა ჰოლანდიური კლუბი, თუმც სტუმრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ანგარიშიც ლოგიკურად ვერ ასახავდა მატჩის პერიპეტიებს. განმეორებით შეხვედრაში პსვ ძალიან ახლოს იყო სასწაულის მოხდენასთან, პარკმა და კოკუმ ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრეს. ლამატჩებით დრომდე თითქმის ალარაფერი რჩებოდა, როცა მასიმო ამბროზინიმ გაიტანა და ლამაზი ეინდჰოვენური ზღაპარი დაასრულა. მიუხედავად ამისა, პსვ არათუ არ გატყდა, კოკუმ მესამეც გაიტანა და სულ ცოტა დრო რომ ყოფილიყო, მასპინძლებს ეგებ მეოთხეც მიეყოლებინათ. „მილანი“ ფინალში გავიდა, პსვ გავარდა, მაგრამ იმ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ახლა კი ამ ისტორიის მეორე ნაწილი იწყება.

„მილანი“ ჯგუფს სათავეში უდგას ოთხი ქულით. პსვ-სა და „ფენერბაჰჩეს“ სამ-სამი აქვთ, აუტსაიდერი კი „შალკეა“ ერთი ქულით. საკუთარ ჩემპიონატში ანჩელოტის გუნდმა ბოლოს „კალიარი“ დაამარცხა გასვლაზე (2:0) და მეორე ადგილზე იმყოფება. ცოტა წარუმატებელი სტარტის მერე „როსონერი“ ნელ-ნელა შედის ფორმაში და პსვ-სთან მატჩშიც ალბათ მაინც ის იქნება ფავორიტი. კარლო ანჩელოტიმ „გაძეტა დელო სპორტ“-ს განუცხადა, რომ მის გუნდს არანაირი პრობლემა არა აქვს გარდა იმისა, რასაც თვითონ უქმნიან თავს. ჰოლანდიელებთან მატჩში კი განსაკუთრებით ანდრეი შევჩენკოსი ეიმედება. 2004 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი ჩინებულ ფორმაში შედის და გოლებიც ისევ ბლომად გააქვს.

პსვ-მაც მოიგო უკანასკნელი შეხვედრა ეროვნულ ჩემპიონატში ალკმაართან (3:0) და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, „ფეიენოორდის“ შემდეგ.

იყო ლაპარაკი, რომ კოკუ გამოტოვებდა მატჩს, მაგრამ, ჰიდინკის თქმით, ის მწყობრშია. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებენ: ჰესელინკი, დე იონგი, ვაირინენი და ლუსიუსი. ხოლო ფარფანის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

ჯგუფის მეორე შეხვედრა კი სტამბოლში გაიმართება, სადაც „ფენერბაჰჩე“ „შალკეს“ მიიღებს. ეს გუნდები აქამდე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. მდგომარეობა კი ისეთია, რომ გერმანელებსაც და თურქებსაც მოგება სჭირდებათ, განსაკუთრებით კი გელზენკირხენელებს.



კარლო ანჩელოტის ისევ ანდრეი შევჩენკოს (მარცხნივ) ეიმედება

## F ჯგუფი

### რეალი — როსენბორგი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. მსაჯი: სტეფან ბენეტი (ინგლისი)

| რეალი | როსენბორგი |
|---|---|
| კასილიასი, ვუდგეიტი, ელგერა, რ. კარლოსი, დიოგო, ბექემი, პ. გარსია, ბაპტისტა, ზიდანი, რობინიო, რაული | იონსენი, კვარმე, რისეტი, სტრანდი, დორსინი, ბერგი, სკილბრედი, სოლი, ბრატელი, სტორფლორი, ჰელსტადი |

### ლიონი — ოლიმპიაკოსი

ლიონი. „სტად ჟერლანი“. მსაჯი: გრემ ჰილი (ინგლისი)

| ლიონი | ოლიმპიაკოსი |
|---|---|
| კუპე, კრისი, კასაპა, რევეილარი, ტიაგო, ბერტოდი, ჟუნინიო, დიარა, გოვუ, მალუდა, კარეუ | ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, მავროგენიდისი, კოსკულასი, კაფესი, კაპსისი, ტურე, სტოლტიდისი, კონსტანტინუ, ჯორჯევიჩი, ბაბანგიდა |



დაშავებულ რონალდოს რობინიო (შუაში) შეცვლის

# რაულის იუბილე

**მადრიდის** „რეალმა“ და ნორვეგიულმა „რუსენბორგმა“ საამსეზონოდ ლიგაზე ჯერჯერობით ერთი და იგივე გზა გაიარეს. ორივე გუნდმა A ჯგუფში ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ მოუგო, თუმც ფრანგულ „ლიონთან“ დამარცხების სიმწარეც ნახა. ქულისმაძიებელი გალაქტიკოსები და ვიკინგები დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უშეღავათო ბრძოლას გამართავენ. მასპინძლებს დაშავებული რონალდო ვერ დაეხმარება. კიჭამ გასულ შაბათს ესპანური პრიმერას მატჩში „ატლეტიკოს“ თავისი ჰეთ თრიქით მოუღო ბოლო, ოღონდ მესამე გოლის შეგდებისას მეტოქის მცველს შეასკდა და მძიმედ დაშავდა. სავარაუდოდ ბრაზილიელს მისივე თანამემამულე რობინიო შეცვლის.

მადრიდული ინჩადა მოედანზე ვერც სერხიო რამოსს და მიჩელ სალგადოს იხილავს. პირველი დაჯარიმებულია, მეორე კი, რონის მსგავსად, „ათლეტებთან“ ჯახში დაშავდა. გალაქტიკოსთა თავკაც ლუშემბურგოს გადაწყვეტილებით, რამოსის ადგილს ინგლისელი ვუდგეიტი შეავსებს, ხოლო მიჩელ სალგადოს მაგივრად მინდორზე კარლოს დიოგო იქნება.

19 ოქტომბერი კი დამხვდურთა კაპიტან რაულისთვის განსაკუთრებული თარიღია. დღეს სახელგანთქმული გონსალეს ბლანკო ჩემპიონთა ლიგაზე თავის რიგით მეასე, საიუბილეო მატჩს ჩაატარებს. თან ზუსტად ოთხშაბათს სრულდება 10 წელი, რაც რაულმა ლიგაში „ფერენცვაროშთან“ პირველი გოლი გაიტანა.

„იუბილეს „რუსენბორგის“ კარის დალაშქვრით აღვნიშნავ“ — განუცხადა „რეალის“ კაპიტანმა სპორტულ მედიას.

მატიას ჰიოგმოს ვიკინგებმა შინაურ პირველობაზე „ბრანი“ 4:1 გაანადგურეს. „რუსენბორგის“ ძირითადმა მეკარემ იესპერ იონსენმა ტრავმა მოირჩინა და „ბერნაბეუზე“ სტუმართა მისადგომებს დაიცავს. „თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მუხლის ტკივილიც აღარ მაწუხებს“ — აღნიშნა ჩრდილოელთა გოლკიპერმა.

მომხვდურთა მწვრთნელი კასტილიურ გრანდთან შერკინების წინ იმედიანადაა: „რეალი“ მართლაც ბრწყინვალე გუნდია, თუმც მადრიდელებს მაინც დიდ ომს გავუმართავთ“.

„გერლანდის“ სტადიონზე კი ჟერარ ულიეს „ლიონი“ ელინურ „ოლიმპიკოსს“ უმასპინძლებს. ფრანგები F ჯგუფის მეორე ადგილზე არიან, ხოლო უქულოდ დარჩენილი „ოლიმპიკოსი“ ჯერჯერობით გამოკვეთილი აუტსაიდერია. „გერლანდის“ ჯახი ბერძენთა ბრაზილიელი ვარსკლავის, რივალდოს გარეშე ჩაივლის. „ბარსელონას“ ექსჩაუქმა ელინთა ჩემპიონატში პაოკთან ტრავმა მიიღო. ასევე არ იქნება დაშავებული გრიგორის გეორგატოსიც. „ოლიმპიელთა“ მწვრთნელმა საფრანგეთში საომრად მცველი მიხალის კაპსისი წაიყვანა, თუმცა უკანახაზელი მარცხენა ფეხის ტკივილის გამო საუკეთესო სათამაშო ფორმაში არ არის. „ლიონმა“ ფრანგთა ჩემპიონატში „აიაჩოს“ ფრედის, ჟუნინიოსა და ვილტორდის გოლების წყალობით 3:2 დაამარცხა, „ოლიმპიაკოსმა“ კი პაოკთან შინ 1:2 წააგო.

„სტად გერლანდის“ სტუმარ-მასპინძელი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს. 1963-64 წლების თასების თასზე ორი რაუნდის ჯამში „ლიონმა“ 5:3 გაიმარჯვა. 2000-01-ის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი გალებმა და ელინებმა მეტოქე შინაურ არენებზე დაამარცხეს. უკანასკნელი ტრიუმფი „ოლიმპიაკოსმა“ ფრანგულ გუნდთან გასული სეზონის უეფას თასზე იზეიმა, მაშინ ბერძნების თავდადებამ „სოშო“ მერვედფინალის გარეთ დატოვა.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ანდერლეხტი — ლივერპული

ბრიუსელი. „კონსტანტ ვანდენ სტოკი“. მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

| ანდერლეხტი | ლივერპული |
|---|---|
| პროტო, ვანდენ ბორე, ვილჰელმსონი, დემანი, ტიინენი, დეშახტი, ვანდერჰეიგე, ზეტერბურგი, გოორი, მ. მპენზა, იესტეროვიჩი | რეინა, ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, ფინანი, ჰამანი, ალონსო, ჯერარდი, ლუის გარსია, კრუჩი, სისე |

### ჩელსი — ბეტისი

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი“. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

| ჩელსი | ბეტისი |
|---|---|
| ჩეხი, ფერეირა, კარვალიუ, ტერი, გალასი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, რობენი, დაფი, დროგბა | დობლასი, ო. ლოპესი, დ. რივასი, მელი, ხუანიტო, რივერა, ვარელა, ხისკო, მ. ანხელი, ბოაკინი, ოლივეირა |

## H ჯგუფი

### რეინჯერსი — არტმედია

გლაზგო. „აიბროქსი“. მსაჯი: დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

| რეინჯერსი | არტმედია |
|---|---|
| ვატერეუსი, რაიკსენი, კირიაკოსი, როდრიგესი, ბერნანდი, ნამუჩი, მიურეი, ფერგიუსონი, ლოვენკრანდსი, ნიეტო, პრსო | ჩობეი, დებნარი, ბორბელი, ბურაკი, დურიცა, ურბანეკი, ბლაშჩაკი, პეტრასი, კოზაკი, ფოდრეკი, ჰარტიგი |

### პორტუ — ინტერი

პორტუ. „დრაგაუ“. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

| პორტუ | ინტერი |
|---|---|
| ბაია, რ. კოშტა, ბოსინგვა, სეზარი, ალვეში, იბსონი, გონსალესი, დიეგო, კვარესმა, ჟორჟინიო, მაკარტი | სეზარი, სამუელი, კორდობა, ვიეირა, მატერაცი, პიზარო, ფიგუ, კამბიასო, სოლარი, რეკობა, ადრიანო |

# ხოაკინს არ სჯერა

**1985 წელს** „ეიზელზე“ მომხდარი ტრაგედიის შემდეგ „ლივერპული“ ბრიუსელში პირველად ჩადის და ტრავმირებული კაპიტანი სტივენ ჯერარდი „ანდერლეხტთან“ დააკლდება. შესაძლოა, ჰარი კიუელმა ითამაშოს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანთან“ დაშავდა და სადღეისოდ უკვე მოიჯობინდა.

„ლივერპულს“ ძალიან უჭირს შეტევაში, რაკი პრემიერლიგაში ხუთი გოლზე მეტი ვერ გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის ორ მატჩში კი ორს დასჯერდა. ამ ზაფხულს შეძენილ პიტერ კრაუჩს ჯერ არ გაუტანია, ფერნანდო მორიენტესი კვლავ მკურნალობს, ხოლო ჯიბრილ სისე თავის ნაჭუჭში ვერაა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებზე „ლივერპულმა“ „ბლექბერნს“ მისი გოლით მოუგო.

ბენიტესს ფრანგის ეიმედება: „გაზეთებში წერენ, თითქოს მე და სისეს ურთიერთობა წაგვიხდა. ეს ტყუილია, ჩვენ პროფესიონალები ვართ და პრობლემები არ გვაქვს. თუ ბეჯითად იშრომებს, შანსს ყოველთვის მივცემ. იგივე ეხება დანარჩენ ფეხბურთელებსაც. სისე ძალიან კარგი ფორვარდია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერავის მივცემ“.

ნაკრებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელთა უმეტესობა ბენიტესმა „ბლექბერნთან“ მატჩში დაასვენა, დღეს კი ისინი მოედანზე იქნებიან. მათ შორისაა სემი ჰიიპია, რომელსაც 2001 წელს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ თამაშის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ერთი შეხვედრაც არ გამოუტოვებია და სულ 4 ათას 740 წუთი მოუგროვდა.

„ანდერლეხტს“ მოგება სჭირდება, რის გამოც ალბათ შეტევაში მეტ დროს გაატარებს და ჩვენ კონტრშეტევებზე თამაშის საშუალება გვექნება — თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა — ბელგიელთა მატჩები ვიდეოფირზე ვნახე. ისინი პერიოდულად კარგ ფეხბურთს აჩვენებენ“.

„ანდერლეხტის“ თავკაცმა ფრანკ ვერკაუტერენმა განაცხადა: „ლივერპულის“ ძლევაილი არაა, მაგრამ თავს არ დავზოგავთ. თუმც რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი ფაქტობრივად აღარ გვაქვს“,

მასპინძელთა ფინელი მცველი ჰანუ ტიინენი: „ორი წაგებული მატჩი გვაიძულებს, მოსაგებად ვითამაშოთ“.

აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტმა“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ცხრა თამაშიდან ცხრავე წააგო და, ცხადია, დღეს ნავსის გატეხვას ეცდება.

„ბეტისი“ ეწვევა „ჩელსის“ და ძნელი სავარაუდო არაა, რომ დიდი ჯაფა დაადგება.

„ეჭვგარეშეა, უმძიმესი ბრძოლა გველის — თქვა „ბეტისის“ მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა — მაგრამ „ლივერპულთან“ და „ანდერლეხტთან“ მატჩებში დავამტკიცეთ, რომ ევროელიტაში ადგილს ვიმსახურებთ. „ჩელსი“ ამჟამად ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ ყველას თავისი სათამაშო ყაიდა აქვს და, ვფიქრობ, მთლად უშანსოდ არ ვართ“.

ჟოზე მაურინიუს, რომელსაც „ბარსელონაში“ სერა ფერერთან სამი წელი უმუშავია, სურს, რომ მერვედფინალი რაც შეიძლება, მალე გაინაღდოს: „მთავარია, ჯგუფიდან მალე გავიდეთ. პირველი ადგილიდან თუ მეორიდან, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი მიზანია, შინ მოგება და სტუმრად ქულის აღება. ახლა გუნდი კარგ ფორმაშია და უნდა მოვიგოთ“.

მაურინიუ მოგებას ეშურება, თუმც „ბეტისის“ ნახევარმცველმა ხოაკინმა განაცხადა: „ჩელსის“ დაუმარცხებლობისა არ მჯერა. მართალია, მათი ძლევა ურთულესი საქმეა, მაგრამ 90 წუთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**



რაფაელ ბენიტესს და ჟოზე მაურინიოუს საკუთარი კლუბების ძალაში ეჭვი არ ეპარებათ



მილანელები „პორტუსთან“ საომრად ემზადებიან

# მაკლიშმა სტრაჩანს არტმედია ჰკითხა

**გლაზგოს** „რეინჯერსი“ ბრატისლავის „არტმედიას“ უმასპინძლებს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „სელტიკი“ დაიფრინა. გეხსომებათ, რომ მაშინ სლოვაკებმა შინ 5:0 გაანადგურეს სელტიკელები, სტუმრად კი 0:4 დამარცხდნენ. „რეინჯერსის“ მწვრთნელ ალექს მაკლიშს „არტმედიას“ ავანჩავანის გაგება სურდა და „სელტიკის“ თავკაც გორდონ სტრაჩანს მეტოქის შესახებ გამოჰკითხა.

„ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ და ახლა სლოვაკებზე საკმაო ინფორმაცია გამაჩნია — განაცხადა „ჩაფართა“ მწვრთნელმა — ალბათ უფრო მეტიც, ვიდრე სტრაჩანს ჰქონდა, რადგან „არტმედიამ“ ლიგაში უკვე ორი მატჩი ითამაშა და გამოცდილებაც გაიმდიდრა“.

„რეინჯერსი“ შინაჩემპიონატში ცუდად გამოიყურება. პირველადგილოსან „ჰართსს“ ცხრა ქულით ჩამორჩება, რის გამოც მაკლიშს კრიტიკა არ აკლია.

„ქომაგს სურს, რომ ყველა მატჩი მოვიგოთ, რადგან ფინანსურად სხვა შოტლანდიელ გუნდებზე გაცილებით ძლიერნი ვართ. გასულ უქმეებზე „დანდი იუნაიტედს“ ვერ ვძლიეთ, მაგრამ განა ვინმე იწინასწარმეტყველებდა, რომ მაგალითად, „ვესტ ბრომვიჩი“ „არსენალს“ მოუგებდა? როგორი სხვაობაც არ უნდა იყოს გუნდებს შორის კლასში, გამარჯვების გარანტია არ არსებობს“. — აღნიშნა მაკლიშმა.

გლაზგოელებს ოთხი შემტევი ჰყავთ ტრავმირებული: ფრენსის ჯეფერსი, ტომაშ ბუფელი, ნაჩო ნოვო და სტივენ ტომპსონი. მწვრთნელს არგენტინელი ფრედერიკო ნიეტოლა შერჩა. მაკლიში „არტმედიასთან“ სავარაუდოდ, ნოეტო-პრსოს დუეტს გაამწესებს და ასე თუ მოხდა, არგენტინელისთვის ეს პირველი მატჩი იქნება, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს.

| 10491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.65 | 2.50 | 6.00 | 1.00 | 1.29 | 1.76 |
| 10492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10493 | ჩელსი-ბეტისი | 1.50 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.80 |
| 10494 | პორტუ-ინტერი | 3.80 | 2.00 | 2.45 | 1.31 | 1.48 | 1.10 |
| 10495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1:06 | 1.49 | 1.36 |
| 10496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10498 | ზენიტი-გიმარაეში | 2.00 | 2.10 | 5.10 | 1.02 | 1.43 | 1.48 |
| 10499 | რენი-შტუტგარტი | 2.75 | 2.00 | 3.10 | 1.15 | 1.45 | 1.21 |
| 10500 | სტიაუა-ლანსი | 2.80 | 2.00 | 3.30 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10502 | ვიკინგი-მონაკო | 4.30 | 2.00 | 2.35 | 1.36 | 1.51 | 1.08 |
| 10503 | ბაზელი-სტრასბური | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10504 | შახტარი-პაოკ | 1.75 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.66 |
| 10505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 4.50 | 2.00 | 2.25 | 1.38 | 1.50 | 1.05 |
| 10506 | ტრომსიო-რომა | 5.10 | 2.10 | 2.00 | 1.48 | 1.43 | 1.02 |
| 10507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 2.55 | 2.00 | 3.70 | 1.12 | 1.50 | 1.29 |
| 10508 | ცსკა(მ)-მარსელი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.10 | 2.00 | 2.90 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | რეალი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | მილანი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15493 | ჩელსი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15494 | პორტუ-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15498 | ზენიტი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | რენი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | სტიაუა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ვიკინგი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | ბაზელი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | შახტარი-პაოკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | ტრომსიო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ცსკა(მ)-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 8.00 |
| 11489 | მილანი-პსვ | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.50 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11493 | ჩელსი-ბეტისი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11494 | პორტუ-ინტერი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11498 | ზენიტი-გიმარაეში | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11499 | რენი-შტუტგარტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.50 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11500 | სტიაუა-ლანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11502 | ვიკინგი-მონაკო | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.50 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11503 | ბაზელი-სტრასბური | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11504 | შახტარი-პაოკ | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.50 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11506 | ტრომსიო-რომა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11508 | ცსკა(მ)-მარსელი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11509 | დნიპრო-ალკმაარი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

([illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 1.25 | 2.60 |
| 14488 | რეალი-რუსენბორგი | 1.03 | 2.90 |
| 14489 | მილანი-პსვ | 1.07 | 2.90 |
| 14490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 1.80 | 2.00 |
| 14491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.20 | 2.60 |
| 14492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 2.20 | 1.70 |
| 14493 | ჩელსი-ბეტისი | 1.10 | 2.90 |
| 14494 | პორტუ-ინტერი | 2.20 | 1.75 |
| 14495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.65 | 2.20 |
| 14496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 2.40 | 1.45 |
| 14497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 2.10 | 1.75 |
| 14498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.30 | 2.50 |
| 14499 | რენი-შტუტგარტი | 1.75 | 1.95 |
| 14500 | სტიაუა-ლანსი | 1.75 | 1.95 |
| 14501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 2.00 | 1.80 |
| 14502 | ვიკინგი-მონაკო | 2.20 | 1.65 |
| 14503 | ბაზელი-სტრასბური | 1.55 | 2.30 |
| 14504 | შახტარი-პაოკ | 1.25 | 2.50 |
| 14505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 2.40 | 1.50 |
| 14506 | ტრომსიო-რომა | 2.50 | 1.30 |
| 14507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.75 | 2.10 |
| 14508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.65 | 2.30 |
| 14509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.90 | 1.90 |
| 14510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 1.65 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 1.70 | 1.90 |
| 13488 | რეალი-რუსენბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13489 | მილანი-პსვ | 1.90 | 1.70 |
| 13490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13493 | ჩელსი-ბეტისი | 1.90 | 1.70 |
| 13494 | პორტუ-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.70 | 1.90 |
| 13496 | ჰალმსტადი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 13499 | რენი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13500 | სტიაუა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13502 | ვიკინგი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13503 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13504 | შახტარი-პაოკ | 1.70 | 1.90 |
| 13505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13506 | ტრომსიო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.60 | 2.00 |
| 13510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12487 | რეინჯერსი-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |
| 12488 | რეალი-რუსენბორგი | 2.20 | 1.45 |
| 12489 | მილანი-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12490 | ფენერბაჰჩე-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12491 | ლიონი-ოლიმპიაკოსი | 1.90 | 1.70 |
| 12492 | ანდერლეხტი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12493 | ჩელსი-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12494 | პორტუ-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12495 | დინამო(ბქ)-ჰერენვენი | 1.90 | 1.70 |
| 12496 | პალმსტადი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 12497 | ცსკა(ბულ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12498 | ზენიტი-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 12499 | რენი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12500 | სტიაუა-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12501 | გრასჰოპერი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12502 | ვიკინგი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 12503 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 12504 | შახტარი-პაოკ | 1.90 | 1.70 |
| 12505 | მაკაბი(ფთ)-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12506 | ტრომსიო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12507 | ბეშიქთაში-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12508 | ცსკა(მ)-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12509 | დნიპრო-ალკმაარი | 1.90 | 1.70 |
| 12510 | ლოკომოტივი(მ)-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |

18 ოქტომბერი

**მაკაბი 106:102 სსუ**

21:28 26:13 31:25 28:36

**მაკაბი:** დოლიძე (9), კორკოტაძე (7), ფიცხელაური (14), ვაშაკიძე (30), გ. შერმადინი (32); ნინოშვილი (14), მერებაშვილი, ენუქიძე

**სსუ:** თორთლაძე (23), პატარაია (19), მოდებაძე (17), ჯგერენაია (11), კორძაძე (2); ქვილითაია (8), გოლეთიანი (6), მეტრეველი (16), ბენდიანიშვილი

*მსაჯები:* ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე

*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**თსუ-ნიკორა 107:84 სტუ**

25:19 28:23 28:20 26:23

**თსუ-ნიკორა:** ლეჟავა (22), ვეფხვაძე (6), ფანჩულიძე (19), ტყეშელაშვილი (14), სანიკიძე (4); მარხვაშვილი (13), ი. მაისურაძე (9), ი. ბერიშვილი (6), კეშელავა (6), მუშკუდიანი (5), ხიზანიშვილი (3)

**სტუ:** მიქაძე (6), გაგნიძე (4), კეიდია (11), შანიძე (19), მათიაშვილი (7); ლოსაბერიძე (15), ახალკაცი (10), მურჯიკნელი (10), ნინუა (2), კოხრეიძე

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 93:82 დინამო**

19:19 16:24 24:15 34:24

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (14), ბ. ბერიშვილი (2), მარკოიშვილი (25), ჩხატარაშვილი (5) მინაშვილი (6); ხოშტარია (16), დ. ბერიშვილი (7), ბ. ნოზაძე (8), ორმოცაძე (6), როდუმტა (4)

**დინამო:** გამყრელიძე (13), ვ. მაისურაძე (13), ლაფანაშვილი (19), გულისაბედაშვილი (5), სუხიშვილი (11); ბადრიძე (13), წივწივაძე (8), დერიუგინი

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

*კომისარი:* მურმან ქურიძე

# საქართველოს XV ჩემპიონატი

# სტუდენტური გაუფერულდა

## ქუთაისმა მატჩშესვენება აიღო

**ირაკლი პერტაია**

**აი, დაიწყო** ახალი, რიგით მე-15 ჩემპიონატი და ვერის ბაღიც საკალათბურთოდ ახმაურდა. მართალია, გუშინ დიდი ვერაფერი მატჩები ვიხილეთ, მაგრამ არარაობას იმის ცქერა მაინც სჯობს, როგორ ინდომებენ ახალგაზრდები და როგორი თავდაჯერებით თამაშობენ უკვე დაღვინებული კალათბურთელები. მთავარია, რომ ჩემპიონატი დაიწყო — ადრე, ძველი ფედერაციის დროს ხომ დაწყებაც სათუო იყო ხოლმე.

დონე და დაძაბულობა? ჯერ არ გვაქვს, მაგრამ იმედია, როდიესმე ამასაც მოვევლება.

გუშინ ოთხი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთი გადაიდო. რუსთავში „ქუთაისი" ვერ ჩავიდა და იმერლებმა ისიც თქვეს, მორჩა, ჩემპიონატში ველარ გამოვალთ, ქალაქის თავკაცობა ფულს არ გვაძლევსო.



მურაზ დოლიძავაშვილის ფოტო

ავიატორი ირაკლი ხოშტარია (ბურთით)დინამოელ ბექა წივწივაძეს გაურბის

მგზავრობისთვის აუცილებელ თანხაზეა ლაპარაკი, რომელიც საქართველოს მნიშვნელობით მეორე ქალაქში ვერ გამოინახა. ქუთაისის მერიამ თავიდან დააიმედა კალათბურთელები, მათ დარბაზიც კეთილმოუწყო და თბილის-რუსთავში გამოსამგზავრებელ ფულსაც დაპირდა, მაგრამ... ბოლო ინფორმაციით, „ქუთაისი" ჩემპიონატში ითამაშებს, პირველ ტურის მატჩი კი მოგვიანებით ჩატარდება.

ვერის ბაღში გამართული სამი შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული სსუ-სა და „მაკაბის" შეხვედრა გამოდგა. დონისა რა მოგახსენოთ, ისე კი ამ თამაშს გვარიანად საინტერსო „ენდშპილი" ჰქონდა.

გამოცდილი დავით თორთლაძის შემატებით მოფერიანებული სსუ თავიდანვე უშიშრად ეკვეთა ჯამლეტ ხუხაშვილის „მაკაბის" და პირველი მეოთხედი 7 ქულით მოიგო, მეორეში კი პირიქით მოხდა. ჩამორჩენილმა გუნდმა ყველაფერში დაჩაგრა მეტოქე და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

„მაკაბის" განსაკუთრებით წინახაზელები სწყალობდნენ, რომელთაგან გიორგი შერმადინი და გივი ვაშაკიძე გამოირჩეოდნენ. ეს ორი თითქოს ბომბარდირობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს, შერმადინმა 32 მოაგროვა, ვაშაკიძემ — 30.

მესამე მეოთხედში „მაკაბიმ" უფრო გაზარდა უპირატესობა და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 13-ქულიანი ფორაც შეიქმნა. სწორედ ბოლო მეოთხედში დაატრიალეს ამბები სოხუმელებმა, რომლებიც გააფთრებით იბრძოდნენ და სირენის მოახლოებასთან ერთად ჩამორჩენასაც ამცირებდნენ.

სსუ ფარქვეშ იშვიათად შედიოდა იგი. ფეხმარდი უკანახაზელების გარღვევებისა და მიზნის იმედად იყო. დავით თორთლაძესა და შოთა პატარაიას ცდა არ დაუკლიათ, სამქულიანებს ტყორცნიდნენ და უმეტესად ხეირობდნენ კიდეც. შედეგად თამაშის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე სსუ 2 ქულით მიუახლოვდა მეტოქეს.

თამაში დაიძაბა, კალათბურთელებს ნერვიულობა დაეტყოთ და ამ დროს თავი მაკაბელმა გიორგი დოლიძემ გამოიჩინა, რომელმაც მიჯრით 4 ქულა მოიმკა. გულმოცემულ მაკაბელთაგან გივი ვაშაკიძეც გმოირჩა, რომელმაც მორიგი 2 ქულა მოინაგრა და სოხუმელებსაც იმედი გადაეწურათ — 106:102 „მაკაბს" სასარგებლოდ.

წესით და რიგით მომდევნო მატჩი უფრო საინტერესო უნდა გამომდგარიყო, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ სტუდენტურმა დერბიმ ძველი ლაზათი დაკარგა. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ისე დასუსტდა და სახელმწიფოსი კი ისე გაძლიერდა, რომ სტუდენტური დერბის ყურება ძველებურად საამო აღარ არის.

ტექნიკოსებს სპონსორი „ჯეოსელი" გაექცათ, თსუ-ს კი პირქით, ჯიბესქელი „ნიკორა" მოუვიდა და შედეგიც ნათელია. მართალია, ფული ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ კალათბურთში ბევრს ნიშნავს და დალხენილმა თსუ-მაც იოლად გადაურბინა ტექნიკოსებს.

მამუკა ტურაშვილის საძწყსოქ თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და მხოლოდ ერთხელ, ისიც მეორე მეოთხედში მიიკარა მეტოქე. ხსენებულ ეპიზოდში ტექნიკოსებმა ფარქვეშ დაჯაბნეს თსუ — ირაკლი კეიდიამ და ლუკა შანიძემ კარგი დუეტი შექმნეს მეტოქის სამწამიანში და ნიკორელების ლიდერობიდან მხოლოდ ქულადა დარჩა.

თსუ-მ ფარქვეშ ჭიდაობა არ დაუწყო მეტოქეს, შორიდან შეუტია, შიგადაშიგ კონტრშეტევებსაც ახორციელებდა და ორ წუთში ოთხქულიან უპირატესობასაც [illegible] — 53:42 პირველი ტაიმის შემდეგ.

ბევრს ეგონა [illegible] ისევ მოიქნევს კუდს, მაგრამ პირიქით კი მოხდა. თსუ-მ რომ შეუბერა, ზრდიდა და ზრდიდა უპირატესობას და საბოლოოდ 23-ქულიანი გამარჯვებაც დაიტკბო.

დღის ბოლო მატჩში „ავიამშენი" დავით უსტიაშვილის „დინამოს" დაუპირისპირდა და [illegible] ნერვიულობის ხარჯზე გაიმარჯვა. ეს გუნდები ამას წინათ დუდუ დადიანის ტურნირზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ახალგაზრდულმა „დინამომ" დიდი წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის მომავალ გამარჯვებულს. გუშინაც დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს დავით უსტიაშვილის შეგირდებმა და თითქმის მთელი თამაში წინაც იყვნენ, მაგრამ...

ლევან მოსეშვილმა ავიაქარხნიდან ექსპერიმენტული [illegible] არჩია და რომ არ გაუმართლა, [illegible] ნელ-ნელა უშვებდა მოედანზე გამოცდილ და სანდო ხალხს. ირაკლი ხოშტარია, დავით ბერიშვილი... და როცა მოედანზე პლასდუ როდუმტაც გამოჩნდა, „ავიამშენმა" საბოლოოდ ხელთ იგდო მატჩის სადავეები და მესამე მეოთხედის ბოლოს ქულით [illegible] ბოლო ათწუთეულში საბოლოოდ მოუთავა ხელი მეტოქე დინამოელებს.



მურაზ დოლიძავაშვილის ფოტო

ლაშა კეშელავა (ბურთით) სტუ-ს ფარქვეშაც თამამად იბრძოდა



# ფაჩულიას პირველი ორმაგი დუბლი

**ორშაბათს** თავისი მეხუთე წინასასეზონო მატჩი ჩაატარა „ატლანტა ჰოუქსმა", რომელიც შარლოტში ადგილობრივ „ბობქეთზს" შეხვდა, ეს პირველი თამაში იყო მას შემდეგ, რაც ატლანტას 28 წლის ცენტრი ჯეისონ კოლიე დაიღუპა. მის პატივსაცემად მოთამაშეებმა შავი სამკლავურები გაიკეთეს, თამაშის წინ კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კოლიეს ხსოვნას.

ჩვენთვის საინტერესო კი ეს მატჩი იმით იყო, რომ კვლავ სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში ზაზა ფაჩულიამ და კვლავ მშვენივრად ისპარეზა. 33 წუთის განმავლობაში, ზაზამ 17 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა.

ფაჩულიასთვის ეს პირველი ორმაგი დუბლია ატლანტას შემადგენლობაში. ზაზამ 7-დან 5 ორქულიანი, 8-დან 7 ჯარიმა ჩააგდო, 10 მოხსნიდან 4 კი მეტოქის ფარზე აიღო. ზაზას სტატისტიკას ოდნავ ის აფუჭებს, რომ 3-ჯერ დაკარგა ბურთი, ხოლო მთლიანად „ატლანტამ" 24-ჯერ.

ფაჩულია შედეგიანობით მხოლოდ ელ ჰარინგტონს ჩამორჩა, რომელმაც 21 ქულა დააგროვა. არც თუ სახარბიელოდ ისპარეზა „ატლანტას" მთავარმა შენაძენმა — ჯო ჯონსონმა, რომელმაც მხოლოდ 8 ქულა მოუტანა გუნდს.

მიუხედავად ზაზას კარგი თამაშისა, „ატლანტამ" ეს თამაში მაინც წააგო, ანგარიშით 94:88. ხუთი ჩატარებული მატჩიდან „ქორები" მეოთხედ დამარცხდნენ.

**ჟაჰა ლომაშვილი**

# ვისაც ტრავმა არ აწუხებს


AFP მადრიდიდან

ივო კარლოვიჩი

მასტერსის სერია. მადრიდი. ესპანეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 1 870 000 ევრო

I წრე

**აუგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 6:0 7:5
**ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) — 6:1 6:4
**ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე) — 6:2 6:3
**იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) — 3:6 6:4 6:3
**სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 15) — 7:5 4:6 6:2
**ტომი ჰაასი** (გერმანია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 7:6 6:2
**ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — 3:6 7:6 6:4
**ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — 6:4 3:6 6:3
**ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი, 8) — ტეილორ დენტი (აშშ) — 6:2 6:4
**ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) — 6:7 7:6 7:6
**კრისტოფერ როხუსი** (ბელგა) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — 6:4 6:4

**მადრიდში** მასტერსის სერიის მორიგი ტურნირი დაიწყო. აქ თავი მოიყარა მსოფლიოს ყველა ტოპმენოგნემ, რომელთაც ტრავმები არ აწუხებთ.

სამწუხაროდ, ვარჯიშზე მიღებული ქუსლის ტრავმის გამო მადრიდში ვერ იასპარეზებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი. არადა, მისი და ესპანელთა მთავარი იმედის, რაფაელ ნადალის პაექრობას ყველა მოუთმენლად ელოდა. ასევე ტრავმის გამო არ იქნება ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, რუსი მარატ საფინიც.

ტურნირზე კი პირველი წრის მატჩები გაიმართა. თუმცა არ უთამაშიათ ფავორიტებს, რომლებიც სტარტს მხოლოდ მეორე წრიდან აიღებენ.

პირველი წრის მატჩებიდან გამოსაყოფია ფრანგი სებასტიან გროჟანის მიერ ესპანელი ფელიციანო ლოპესის დამარცხება. თამაშში, რომელმაც 2 საათზე მეტხანს გასტანა, გადამწყვეტი ფაქტორი ფრანგის კარგი მოწოდება იყო. მან მხოლოდ ერთხელ წააგო თავისი მოწოდება, როცა საპასუხოდ ოთხი ბრეიკი გაუკეთა ლოპესს.

მოულოდნელად იოლად იმარჯვა არგენტინელმა ჩელამ, რომელმაც მხოლოდ ორი სეტი იკმარა ათენის ოლიმპიურ ჩემპიონ ჩილელ ნიკოლას მასუსთან მატჩში.

დაძაბული გამოდგა ხორვატი კარლოვიჩისა და ბრიტანელი რუსედსკის შეხვედრა. ორივე ჩოგბურთელი ძლიერი მოწოდებებითა და ბადესთან კარგი თამაშით გამოირჩევა. შესაბამისად, მათ არ უჭირდათ საკუთარი მოწოდებების შენარჩუნება, რის გამოც სამივე სეტი ტაი-ბრეიკამდე მივიდა. უფრო სტაბილური ხორვატი აღმოჩნდა, რომელმაც 28 ეისი მოაწოდა და საკუთარი ჩაწოდებების 97 პროცენტი მოიგო.

კარლოვიჩის შემდეგი მეტოქე ტურნირის მეორე ნომერი ამერიკელი ენდი როდიკი იქნება. მასთან ხორვატს თამაშის გამრავალფეროვნება მოუწევს, რადგან მხოლოდ საკუთარი მოწოდების იმედზე თუ დარჩა, წაგება არ ასცდება.

სხვა მატჩებიდან უნდა აღინიშნოს ტრავმის შემდეგ დაბრუნებული ვეტერანი ბრიტანელი ტიმ ჰენმანის გამარჯვება ამერიკელ ტეილორ დენტთან.

**WTA. ციურიხი. შვეიცარია. მაგარსაფარი. საპრიზო. 1 300 000**

I წრე

**მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — 6:1 6:1
**სილვია ფარინა-ელია** (იტალია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 2:6 6:4 2:0 შეწყდა
**ანასტასია მისკინა** (რუსეთი,7) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — 6:2 3:0 შეწყდა
**კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) — 6:4 7:6
**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ალი სუგიამა (იაპონია) — 1:6 7:5 6:4

**ციურიხში** დაწყებულ WTA-ს მორიგ ტურნირზე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, თუმც გუშინ არ უასპარეზიათ ფავორიტებს, რომლებიც მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთვებიან გათამაშებაში.

გუშინდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა სლოვაკი ჰანტუხოვას მატჩი იაპონელ ალი სუგიამასთან. თამაში იაპონელის სრული უპირატესობით დაიწყო და პირველი სეტიც იოლად მოიგო, თუმც ჰანტუხოვამ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა, თამაში გაათანაბრა და ნელ-ნელა უპირატესობაც ხელთ იგდო.

საბოლოოდ სლოვაკმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა მოგება.

ჰანტუხოვას მოწინააღმდეგე მეორე წრეში ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, ამერიკელი ლინდსი დევენპორტი იქნება.

მეორე წრეში გავიდა 30 წლის ბულგარელი მაგდალენა მალეევაც, რომელმაც რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძეს შანსი არ დაუტოვა.

იოლად გაიმარჯვა ტურნირის მეშვიდე ნომერმა რუსმა ანასტასია მისკინამ. თანამემამულე ზვონარიოვასთან შეხვედრაში მან იოლად მოიგო პირველი სეტი და მეორეშიც წინ იყო, მაგრამ მარჯვენა მხრის ტრავმის გამო ზვონარიოვამ უარი განაცხადა მატჩის გაგრძელებაზე.

მეორე წრის საგზურები იტალიელმა ფარინა-ელიამ და სლოვენიელმა სრებოტნიკმა მოიპოვეს.

**კახა ლომჯუშვილი**


AFP მადრიდიდან

სებასტიან გროჟანი



## საქართველოს XV ჩემპიონატი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი.
მეორე წრე. 18 ოქტომბერი

**ხ/კ თბილისი 41:20 სსსსუ-მამული**

**ხ/კ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, ლალანიძე (გაიტანა 11 გოლი), ქირია (11), სამარლანიშვილი (7), გელა არაბული (4), გრიშიკაშვილი (4), ფორაქიშვილი (2), მამასახლისი (1), ჟღენტი (1), ქარდავა, სულიკაშვილი, ნატროშვილი
**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, ხინგავა, შათირიშვილი (8), მაისურაძე (4), მამაცაშვილი (2), შონია (2), სიხარულიძე (2), ყაველაშვილი (2), გელაშვილი, ხუციშვილი, გობეჯიშვილი, კიზირია, გველესიანი
*მსაჯები: ელენე არაბული, თამაზ ქოქოსაძე*

**სტუ-შევარდენი 29:23 ქარიშხალა**

**სტუ-შევარდენი:** კუპატაძე, ნივნივაძე (13), ნადირაძე (8), გიორგი კობახიძე (3), ტალახაძე (2), ჩუბინაშვილი (2), ომარ ყიფიანი (1), ამირან ყიფიანი
**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მსხვილიძე (9), გოგალაძე (4), მელქოშვილი (4), ბერძენიშვილი (4), სიგუა (2), გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, ქსოვრელი, ზაალიშვილი, საჯაია, ჯორბენაძე, ამირანაშვილი
*მსაჯები: ელენე არაბული, თამაზ ქოქოსაძე*

# თბილისმა გამოიღვიძა, თელავმა კი გვიღალატა

**საწყენია**, რომ დაწყების წინ გუნდმოკლებულ ვაჟ ხელბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატს კიდევ ერთი მონაწილე — „თელავი" შემოეცალა.

ეს მით უფრო გულსატკენია, რომ სათამაშო სახეობებში კახეთის საუკეთესო გუნდმა წინა, ათგუნდა პირველობაზე საპატიო, მეხუთე ადგილი დაიკავა და ევროთასზეც ითამაშა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასიკეთო დრო გაილია და თელაველებსაც პრობლემები მოეძალათ.

ერთი სიტყვით, გუნდი ჩემპიონატში კი ჩაება, მაგრამ მეორე წრემდე სამიოდე დღით ადრე მონაწილეობის გაგრძელებაზე საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ასოციაციაში ოფიციალური უარი გამოგზავნა, სამი ხელბურთელი გუნდიდან წავიდა, სამიც ტრავმირებულია და ამის გამო (?!) ჩემპიონატში ველარ გამოვალთო.

ვერ გახლავთ სერიოზული არგუმენტი, მით უფრო, რომ სეზონის წინ წელგამართული „თელავი" საქართველოს 15-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენთან" გაერთიანებას აპირებდა და ხვალინდელი დღეც ვარდისფერი ჩანდა...

გუშინდელ მატჩებში საგანგებოსაგანგაშო არაფერი მომხდარა და იმედია, სამდღიანი წრე ბოლომდე უხარვეზოდ ჩაივლის.

არმიის სპორტული კლუბის დარბაზში სათამაშოდ პირველად ვიცე-ჩემპიონი „ხ/კ თბილისი" და ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამული" გავიდნენ. თბილისელებს ხელმძღვანელობდა მეორე მწვრთნელი ელიზბარ არსენაშვილი, რადგან „სტუ-შევარდენთან" წინა ტურის დასკვნით მატჩში მსაჯის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ეროვნული ასოციაციის სადისციპლინო კომისიამ „თბილისის" მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით და სამასლარიანი ჯარიმით დასაჯა. ასე რომ, მეორე წრეში თავისი ბიჭების თამაშს მჟავანაძე ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

„თბილისმა" პირველ შეხვედრაში მარცხისთვის სრულფასოვანზე უკეთესი რევანში აიღო, თუმც დასაწყისი მამულელების იყო. ისინი მეათე წუთისთვის უმთავრესად 35 წლის უბერებელ მეგოლე ზვიად შათირიშვილის მცდელობით ოთხი ბურთით დაწინაურდნენ — 8:4, მაგრამ შუა ტაიმში, როცა ლიდერს დაღლა დაეტყო, სხვებსაც მიზანი მოეშალათ და „მამული" ისე „ჩავარდა", რომ თერთმეტ წუთში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო, საკუთარ კარში კი ათი მიიღო და მატჩის ბედიც მაშინ გაირკვა.

„სტუ-შევარდენი" ხუთიოდე დღით აზერბაიჯანში იმყოფებოდა იქაურ ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრებისთვის. აზერბაიჯანელები ერთ კვირაში საქართველოზე დაბალი დონის სახელბურთო ქვეყნების ყოველწლიურ „ჩელენჯ ტროპის" შეჯიბრში უნდა ჩაებნენ და უკეთეს-უახლოეს გამოცდელის ვის იშოვნიდნენ. ორი თამაში ქართველებმა მოიგეს — ექვსი და ოთხი ბურთით, მესამე კი მასპინძლებმა ხუთბურთიანი სხვაობით.

სამწუხაროდ, ჩვენიანებს ბაქოში ორი წამყვანი მოთამაშე დაუშავდათ — მეკარე კორნელი ანდრიაძე და მეგოლე ბაკურ ცოტაძე. კარის ახალ დარაჯად ხათადარიგო მიხეილ კუპატაძეს უჩმეს და, მართალია, „ქარიშხალასთან" მხოლოდ რვა ხელბურთელით იომეს, მაგრამ გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 5 | 0 | 0 | 171:122 | 10 |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 2 | 133:133 | 6 |
| ხ/კ თბილისი | 2 | 0 | 3 | 152:117 | 4 |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 3 | 123:153 | 4 |
| თელავი | 0 | 0 | 4 | 98:152 | 0 |

**მეგოლეები**

| | | გუნდი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ნივნივაძე | სტუ-შევარდენი | 48 |
| 2 | ალიკ გიორგელაშვილი | თელავი | 39 |
| 3 | ლაშა სამარლანიშვილი | ხ/კ თბილისი | 34 |
| 4 | ირაკლი ქირია | ხ/კ თბილისი | 32 |
| 5 | თემურ მეტრეველი | თელავი | 30 |
| 6 | რატი მსხვილიძე | ქარიშხალა | 29 |
| 7 | ზვიად შათირიშვილი | სსსსუ-მამული | 25 |
| 8 | გიორგი კობახიძე | სტუ-შევარდენი | 25 |
| 9 | ნიკა ჯორბენაძე | ქარიშხალა | 21 |
| 10 | ლევან ბერძენიშვილი | ქარიშხალა | 20 |

# ნოზაძე ხალიჩას დაუბრუნდა
## წლის ბოლოს ჩვეულადაც აჭიდავდება

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრების ყველაზე უხვტიტულიანმა წევრმა რამაზ ნოზაძემ ახლახან ბუდაპეშტში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. ხანგრძლივი მკურნალობის კურსი ორიოდ კვირის წინ



ოთარ ტატიშვილი

ჩაამთავრა და უკვე ხალიჩასაც დაუბრუნდა. ჩვეულ ფორმაში ჩადგომამდე, ცხადია, გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდება. გუშინ რამაზს ტელეფონით შევეხმიანეთ. იცოცხლეთ, სასაუბრო ბევრი დაგროვდა, მაგრამ მობილური გამორთული ჰქონდა. მაშინვე მისი პირადი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის ნომერი ავკრიფეთ.

„რამაზი ვარჯიშობს, თუმც ასეც რომ არ იყოს, ჟურნალისტებთან ურთიერთობა შეზღუდული აქვს“ — გვითხრა ტატიშვილმა.

— **რატომ?**

— მძიმე ტრავმა გადაიტანა. ორმოცი დღე მკურნალობდა და ამ ხნის განმავლობაში თითქმის არავინ დაინტერესებულა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. პირადად მას ერთიორჯერ კი დაუკავშირდნენ, მაგრამ ჩემთვის არავის მოუმართავს. არადა, დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება სწორედ მე შემეძლო.

— **სამკურნალო ციკლი უკვე ჩაამთავრა?**

— მკურნალობა დაასრულა. აღარც ტკივილები აწუხებს, თუმც კონსულტაციებს ექიმებთან მაინც გავდივართ. უამისოდ სავარჯიშო პროცესის წარმართვა გაუმართლებელი იქნებოდა.

— **ალბათ საწყის ეტაპზე დატვირთვებს ერიდებით...**

— რა თქმა უნდა. ჯერ მსუბუქად ვავარჯიშებ. მხოლოდ მეორე კვირაა, რაც ხალიჩას დაუბრუნდა. მოსამზადებელი გეგმა სპეციალურად შევადგინეთ. ყოველ ორ კვირაში მოვუმატებ დატვირთვებს და სავარაუდოდ წლის ბოლოს ოპტიმალურ ფორმამდე მივიყვან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



რამაზ ნოზაძემ 40-დღიანი უქმობა დაასრულა



## რეგულარული ჩემპიონატი



AFP ნიუ იორკიდან

რეინჯერსი — ფლორიდა

# გრეცკის პირველი სამწვრთნელო გამარჯვება

17 ოქტომბერი

**კალგარი 0:2 ფინიქსი**

**0:0 0:0 0:2**

**0:1 რიჩი (48), 0:2 დევერო (60)**

**უეინ** გრეცკიმ თავისი პირველი გამარჯვება სტუმრად მწვრთნელის რანგში თასის ფინალისტთან მატჩში მოიპოვა. მესამე პერიოდში სტუმრებს ბედმა გაუღიმა, როცა შორეული დარტყმის შემდეგ შაიბა კარს უკან ბორტს მოხვდა და პირდაპირ მაიკ რიჩის მიუვიდა, მას კი ერთი მეტრიდან გატანა აღარ გასჭირვებია.

56-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიშის გაზრდის ჩინებული შანსი ქარს გაატანეს, როცა ოლეგ საპრიკინმა ბულიტი გააცუდა. სამაგიეროდ, ბოილ დევერომ ბოლო წამებზე დალაშქრა ცარიელი კარი, „კალგარიმ“ კი მარცხთან ერთად ერთ-ერთი ლიდერი, მეტიუ ლომბარდი დაკარგა, რომელიც უცნაურ ვითარებაში დაშავდა. მეტოქესთან მებრძოლ ლომბარდის მოულოდნელად ციგურა გასძვრა და იგი ფეხით პირდაპირ ბორტს დაეჯახა.

**რეინჯერსი 4:0 ფლორიდა**

**1:0 3:0 0:0**

**1:0 ტიუტინი (19), 2:0 იაგრი (35), 3:0 იაგრი (36), 4:0 პრუხა (39)**

**„რეინჯერსის“** მრავალრიცხოვანი ჩეხური დესანტის გმირობები კვლავაც გრძელდება. ბევრისთვის მოულოდნელად, ატლანტის დივიზიონის ლიდერებად ქცეული ნიუიორკელებისა და „ფლორიდას“ ჭიდილში ჩეხები უკლებლივ ყველა გოლში მონაწილეობდნენ (სულ 3 შაიბა და 6 საგოლე პასი), ხოლო მთავარმა ჩეხმა იარომირ იაგრმა დუბლი მიითვალა. თუმც კიდევ უფრო მოულოდნელია „რეინჯერების“ უაღრესად დალაგებული დაცვითი თამაში. მათი ახალბედა მეკარე ჰენრიკ ლინდკვისტი ლამის ორნახევარი პერიოდის განმავლობაში უსაქმოდ იდგა და მხოლოდ ბოლო წუთებზე ერთი-ორჯერ მოუწია ოსტატობის ჩვენება.

მოკლედ, წლეულს ნიუ იორკელ გუნდს ველარ იცნობთ.

**დეტროიტი 3:2 სან ხოსე**

**2:1 0:1 0:0 1:0**

**0:1 ეკმანი (13), 1:1 შენაჰანი (16), 2:1 სამუელსონი (20), 2:2 შტურმი (31, 3:2 ფიშერი (65)**

**სამველ ლარიბიანი**



# პროფესიონალები იტალიას უფრთხიან

**ჯერ** კიდევ არსებობს იმის საშიშროება, რომ ბევრი პროფესიონალი ათლეტი, უპირველეს ყოვლისა ამერიკისა და კანადის წარმომადგენელი, უარს იტყვის გაისად ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

საქმე ისაა, რომ მათ აფრთხობთ იტალიის კანონმდებლობა დოპინგთან დამოკიდებულებაში. ამის თაობაზე განაცხადა იტალიის კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მოადგილემ, იმავდროულად ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტმა მარიო პესკანტემ, რომელიც მთავრობის სახელით კურირებს „ოლიმპიადა-2006“-ის საორგანიზაციო კომიტეტს.

„მე უკვე რამდენიმე თვეა, რაც ამ პრობლემის გადაწყვეტას ვცდილობ. საქმე ისაა, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ პირველმა გაითვალისწინა დოპინგის გამოყენებისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და საერთაშორისო სპორტული ფედერაციები წუხან იმ დამთრგუნველი ეფექტის გამო, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ოლიმპიურ სოფელში პოლიციელთა გამოჩენამ“, — ამბობს მარიო პესკანტე.

„სტამპასთვის“ მიცემულ ინტერვიუში პესკანტემ ისიც აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აზრით, დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისია სპორტული ხასიათის სანქციები.

„ოლიმპიური ქარტიის თანახმად, დოპინგის ხმარებისთვის მხილებულთა დასჯა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომპეტენციაა. ახლა წარმოიდგინეთ, პროფესიონალი ჰოკეისტები, რომლებიც მილიონობით ჰონორარს იღებენ, როგორ ჩაიგდებენ საფრთხეში საკუთარ თავისუფლებას, რათა ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ჩავიდნენ“, — თქვა პესკანტემ.



# ბრძოლის ახალი მეთოდი

**ნოტინგემის** უნივერსიტეტისა და „იმპერიალ კოლეჯის“ სწავლულებმა დოპინგის მომხმარებელ სპორტსმენებთან ბრძოლის წინააღმდეგ ახალი მეთოდის აღმოჩენის თაობაზე განაცხადეს. ახალი მეთოდი სპორტულ ჩინოვნიკებს საშუალებას აძლევს განასხვაონ სპორტსმენის მიერ მიღებული სინთეთიკური და ბუნებრივი სტეროიდები.

„სპორტსმენები, რომლებმაც აკრძალული პრეპარატები მიიღეს, ახლა უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მათი გამოაშკარავების შანსი გაცილებით იზრდება. მომავალში უფრო გაიოლდება სტეროიდების აღმოჩენა“, — თქვა მარკ სეპტონმა, რომელიც ლონდონის „იმპერიალ კოლეჯის“ წარმომადგენელია.

AFP ბერლინიდან



# სპილოების სასაფლაო

„სპილოთა სასაფლაო“ ჰქვია ამ ჩატეხილკარიან კომპოზიციას, რომელიც ბერლინშია გამოფენილი. იქვე 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი გერმანიის ნაკრების გმირთა ფოტოებია გაკრული. სწორედ ისინი გახლავან „სპილოები“. ამ ტყავის ნახელავს კი „პენალტი“ ჰქვია.

AFP ბერლინიდან



AFP ზაგრებიდან




# დონმა სუნი იგრძნო

ხორვატიას ჩასულა კრივის სუპერ-პრომოუტერი დონ კინგი და იქაური ზაგრების „დინამოს“ მაისურითაც იწონებს თავს იქაურ „შერატონში“. კრივის ზეთაღლიანი გენიოსი ტყუილად არ დაძრულა: 21 წლის ხორვატ მძიმეწონოსანს, მარიო პრესკარს აკვირდება.

# მოცურდა

AFP ზოელდენიდან



პარალელური გიგანტური სლალომი ხიფათთა რამეა. ზოელდენში უკვე სამთო თხილამურობის მსოფლიო თასი გახურებულა, შვეიცარიელი მარკ ისელინი კი სწორედ ამ პარალელურ ჭიდილში მოცურებულა.

AFP პარიზიდან



# ხელბურთობა

პარიზში, პიერ დე კუბერტენის სტადიონზე ქალთა ხელბურთის საერთაშორისო შეხვედრა მიმდინარეობს. გერმანელი გრიტ იურაკი ნორვეგიელთა კარს უტევს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაროშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, თამარ ბოლქვაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბეზხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge